

**შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს გამდინარე ციტომეტრისა და ციტომეტრის ექსპლუატაციისთვის საჭირო რეაგენტების/სახარჯი მასალების შესაძენად**

შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს სრულად გამდინარე ციტომეტრისა და ციტომეტრის ექსპლუატაციისთვის საჭირო რეაგენტებისა და სახარჯი მასალის შესაძენად:

- ✓ აპარატის ტექნიკური მახასიათებლები და რეაგენტების ცხრილი მოცემულია დანართში №1;
- ✓ აფიდავიტი მოცემულია დანართში №2;
- ✓ ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი მოცემულია დანართში №3;
- ✓ საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი
- ✓ აუცილებელია პრეტენდენტმა წარმოადგინოს რეაგენტების/სახარჯი მასალების ღირებულება

**ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონული სისტემის eTenders.ge-ს საშუალებით 2022 წლის 12 აგვისტოს, 15:00 სთ–მდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

- აპარატის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები (პარამეტრები), რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას წინამდებარე განცხადებაზე დართული ფორმების შესაბამისად (დანართი №1)
- მისაწოდებელი აპარატის ღირებულება (მითითებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ციფრებით და სიტყვიერად, რომელშიც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების ღირებულებაც);
- რეაგენტების, კონტროლებისა და კალიბრატორების, ასევე დამხმარე სახარჯი მასალების ღირებულება (დოლარში ან ევროში);

შენიშვნა: ხარჯები, რომლებიც არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადებაში მითითებული მასალების ღირებულება არ ექვემდებარება ცვლილებას 1 წლის განმავლობაში.

- ანგარიშსწორების სახე;
- ღირებულების გადახდის პირობა;
- მიწოდების ვადა;
- საგარანტიო ვადა (საგარანტიო პერიოდი არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, საგარანტიო ვადაში ასევე უნდა შედიოდეს სრული საინჟინრო სერვისი, საქონლის წუნდების შემთხვევაში მომწოდებელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ წუნდებული საქონელი შეცვალოს არაუმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის მიერ დამატებითი ხარჯების გაღების გარეშე);
- ინფორმაცია აპარატის მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული ინჟინრის არსებობის შესახებ დამადასტურებელი სერტიფიკატით;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ანალოგიური საქონლის სია და ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაცია;
- სრულყოფილად შევსებული ტექნიკური მახასიათებლების შემცველი ფორმები დანართის №1 სახით. *დანართი აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი, „ექსელის“ ფორმატში.*
- ხელმოწერილი აფიდავიტი დანართის №2 სახით;

*წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.*

**პრეტენდენტს, მყიდველის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 დღე);

იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის მიწოდება იგეგმება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, პრეტენდენტის მიერ ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ მონაცემები, ზემოაღნიშნული საბუთების სახით.

**\* შენიშვნა:** პრეტენდენტი, რომელსაც საქონლის ღირებულების გადახდის პირობაში ავანსის სახით საქონლის საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ან 5000 (ხუთი ათასი) ლარზე მეტი თანხის ჩარიცხვა აქვს გათვალისწინებული, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან.

მყიდველის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა. სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

**შენიშვნა:** ტენდერი ტარდება "1 კონვერტის პრინციპით", რომელიც არ ითვალისწინებს ვაჭრობის ეტაპს<sup>1</sup>. შესაბამისად, პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს მათ მიერ მოწოდებული საქონლის საბოლოო ღირებულება.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს:**

1) ნანა ძნელაძე  
„ავერსის კლინიკა“-ს ლაბორატორიული სამსახურის ხელმძღვანელი  
ტელ: 577 27 47 02  
ელ.ფოსტა: [nana.dzneladze@aversi.ge](mailto:nana.dzneladze@aversi.ge)

2) მარიამ გამხიტაშვილი  
„ავერსის კლინიკა“-ს იურისტი  
ტელ: 558 10 13 30  
ელ. ფოსტა: [mari.gamkhitashvili@aversi.ge](mailto:mari.gamkhitashvili@aversi.ge);

<sup>1</sup> ერთი კონვერტის პრინციპის ჩატარების წესებისათვის იხილეთ <http://etenders.ge/Page/Instructions>